

გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის საქართველოში

ნინო სულხანიშვილი

ელ-ფოსტა: nino.sulkhanishvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზ. 1

გარემოსდაცვით პრობლემებთან დაკავშირებულ გამოწვევებს დღეს მთელი საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს. ასევე აღიარებულია რომ გარემოსდაცვითი განათლება, მისი ყველა ფორმით, არის მთავარი იარაღი ამ გამოწვევების აღმოფხვრისათვის. გარემოსდაცვითი განათლების სფეროს განვითარებასთან ერთად, ბოლო ათწლეულების მანძილზე, სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს "მდგრადი განვითარების" ცნება. შედეგად მოხდა გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების კონცეფციის შერწყმა, რაც აღინიშნება ტერმინით "განათლება მდგრადი განვითარებისათვის".

2012 წლის მაისში, საქართველოს მთავრობამ, საქართველოში გარემოსდაცვითი განათლების ჩარჩო პროგრამის შექმნის მიზნით, დაამტკიცა „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის: საქართველოს 2012-2014 წწ. ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“.

მოცემული კვლევის მიზანია აღნიშნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის მეცნიერულად დასაბუთებული საფუძვლის შექმნა.

კვლევის საწყის ეტაპზე, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა და გარემოსდაცვითი ცნობიერების სწრაფი შეფასება. კვლევის საფუძველზე დადგინდა რომ გარემოსდაცვითი ცნობიერება საქართველოში საკმაოდ დაბალია. გამოვლინდა პრობლემის ძირითადი მიზეზები. დაისახა პრობლემების გადაჭრის გზები მათ შორის ჩვენს მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი განათლების მიდგომა: გარემოსდაცვითი განათლების დისციპლინარული და სივრცითი განაწილება, რაც გულისხმობს გარემოსდაცვითი განათლების მიზნობრივ დანერგვას რეგიონული პრიორიტეტებისა და პროფესიული საჭიროებების მიხედვით. აღნიშნული მიდგომის დანერგვა უნდა მოხდეს როგორც ფორმალურ (formal) და არაფორმალურ განათლებაში (non-formal), ასევე გარემოსდაცვითი ცნობიერების სხვა საშუალებებში (informal education).

გარემოსდაცვითი განათლების მიზნობრივი დანერგვა რეგიონული პრიორიტეტების მიხედვით გულისხმობს ცოდნასა და უნარების გაძლიერებას, რომელიც საჭიროა გარემოსდაცვითი მდგრადობის ხელშესაწყობად მოცემულ რეგიონში (მაგ. კლიმატის ცვლილების ადაპტაცია და გაუდაზნოებასთან ბრძოლა ნახევრად არიდულ რეგიონებში; მიწის დეგრადაციის, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება ან სამოვრების მართვა შესაბამის მთიან რეგიონებში, ჭარბტენიანი ტერიტორიების მართვა კოლხეთში და ჯავახეთში, ტყეებთან დაკავშირებული გამოწვევები ტყიან რეგიონებში, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება დაცული ტერიტორიების ბუფერულ ზონებში, პესტიციდების სწორი გამოყენება სასოფლო სამეურნეო რეგიონებში, ჰაერის დაბინძურება ურბანულ და ინდუსტრიულ გარემოში და ა.შ.).

გარემოსდაცვითი განათლების მიზნობრივი დანერგვა პროფესიული საჭიროებების მიხედვით მიმართული იქნება ცოდნასა და უნარებზე, რომელიც საჭიროა გარემოსდაცვითი მდგრადობის ხელშესაწყობად მოცემულ პროფესიაში (მაგ. ენერგოეფექტურობა არქიტექტურასა და მშენებლობაში, ბიომეურნეობა სოფლის მეურნეობაში, გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა, გარემოსდაცვითი სამართალი, მწვანე ეკონომიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში, და ა.შ.).

აღნიშნული მიდგომის განხორციელება დაეხმარება საქართველოს ახლანდელ და მომავალ თაობებს შეიძინონ არა მხოლოდ მდგრადი განვითარების ცოდნა, არამედ სათანადოდ აღიჭურვონ შესაბამისი უნარებითა და ამ უნარების პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობებით. (როგორცაა მაგ. გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, ადგილობრივ პრობლემებზე დროული და სწორი რეაგირება და ა. შ.).